მათემატიკის სუპერფინალი

ტესტის ფორმატი:

ოლიმპიადის დამატებითი ტურის ტესტი შედგება **5 ძირითადი** და **2 დამატებითი** (სულ 7) ტესტური დავალებისგან.

თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა, რომელიც მითითებულია თითოეული ტესტის გასწვრივ.

ტესტის ხანგრძლივობა:

მონაწილეს ტესტზე სამუშაოდ აქვს 30 წუთი.

გამარჯვებულის გამოვლენის წესი:

გამარჯვებულების გამოვლენა ხდება შემდეგი პრინციპით:

პირველ რიგში ყურადღება ექცევა **ძირითადი დავალებების შეფასებას.**

ქულათა დამთხვევის შემთხვევაში,ყურადღება ექცევა პირველი დამატებითი დავალების შეფასებას, აქაც ქულათა დამთხვევის შემთხვევაშ განიხილება მეორე დამატებითი დავალებაის შეფასება.

(თუ გამარჯვებული გამოვლინდა ტესტის ძირითადი დავალებების შეფასების მიხედვით, დამატებითი დავალებების შეფასება აღარ განიხილება.)

თუ პირველი სუპერფინალი ვერ გამოავლენს გამარჯვებულებს, დაინიშნება კიდევ ერთი დამატებითი ტური, მხოლოდ შერჩეული მოსწავლეებისათვის.

პასუხების გამოქვეყნების ვადა და აპელაცია:

პირველადი შედეგები გამოქვეყნდება კინგსის ვებ-გვერდზე www.kings.ge **2 აგვისტოს.**

აპელაციები მიიღება შედეგების გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში

მეილზე: claim@kings.ge

ვადის ამოწურვის შემდეგ შემოსული აპელაციები არ განიხილება.

სავალდებულო წესები:

· მონაწილე ვალდებულია, საგამოცდო სივრცეს შეუერთდეს დადგენილ დროს (გამოცდის დაწყების დროს). პროცესის დამკვირვებელი მონაწილეს ელოდება **არაუმეტეს ათი წუთისა**.

თუ მონაწილე ამ დროის გასვლის შემდეგ კვლავ არ/ვერ შემოუერთდა საგამოცდო სივრცეს, ჩაითვლება, რომ იგი არ გამოცხადდა ტესტირებაზე.

· მონაწილეს ტესტირების პროცესში ჩართული უნდა იყოს პროგრამა ZOOM-ში (1)

ჩართული უნდა ჰქონდეს ვიდეო-თვალი და (2) **მიკროფონი**.

· მონაწილე სამუშაო ეკრანზე **უნდა ჩანდეს თავისი სახელითა და გვარით.**

დაუშვებელია მეტსახელების გამოყენება.

· მოსწავლემ არ უნდა შეამციროს საგამოცდო სამუშაო ეკრანი.

· საჭიროების შემთხვევაში დამკვირვებელმა შეიძლება მოითხოვოს ხმის შემოწმება ან

კამერის ხედვის შეცვლა. **ასევე, შესაძლებელია დამკვირვებელმა გააზიაროს თავისი სამუშაო ეკრანი.**

· მონაწილე, რომელიც ტესტის წერის პროცესში გამორთავს კამერას, მიკროფონს ან

დატოვებს ზუმს, **აქვს 30 წამი**, რათა დაუბრუნდეს ოლიმპიადის წესებით გათვალისწინებულ მდგომარეობას, წინააღდეგ შემთხვევაში, ავტომატურად გამოეთიშება საპრიზო ადგილისათვის ბრძოლას.

მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში დამკვირვებელი იტოვებს უფლებას, მიანიჭოს მონაწილეს

სტატუსი - „კონკურსგარეშე“.

· ტესტირების პროცესში დაუშვებელია ხმაური, დამხმარე მასალის, სახელმძღვანელოს ან ჩანაწერის გამოყენება.

დისკვალიფიკაციის წინაპირობა:

მონაწილე ტესტირებიდან მოიხსნება, თუ დაარღვია შემდეგი პირობები:

ა) გაითიშა/გამოირთო კამერა ან ხმა 30 წამზე მეტი ხნით;

ბ) დაფიქსირდა კარნახის, სხვებთან საუბრის, ლიტერატურის გამოყენების, რაიმე

დამატებითი მასალის მიწოდების შემთხვევა;

გ) დამკვირვებელს არ ეძლევა მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობა;

დ) გამოცდის ჩატარების შემდეგ, ჩანაწერის ანალიზით გამოვლინდა დარღვევები.

ტექნიკური ხარვეზები და უკუკავშირი:

თუ მონაწილეს გამოცდის მსვლელობის დროს დაუფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი (დენის, ინტერნეტის გათიშვა):

- მაშინ იგი ინფორმაციას **დაუყოვნებლივ** აწვდის დამკვირვებელს ან კოპანიის ცხელ ხაზს: 032 2 30 61 31,
- ხოლო 24 საათის განმავლობაში ოფიციალურ მეილზე info@kings.ge აგზავნის განცხადებას აღნიშნულთან დაკავშირებით.